საქართველოს მთავრობის განკარგულება

№ 2569 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებისათვის – საგანმანათლებლო რესურსცენტრებისათვის „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე გამონაკლისების დაშვების თაობაზე

1. „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის:

ა) მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიეცეს თანხმობა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს არა უმეტეს 295 ერთეულით, მათ შორის, არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად – 165 ერთეულითა და განათლების რეფორმის ფარგლებში – 30 ერთეულით;

ბ) მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებს – საგანმანათლებლო რესურსცენტრებს მიეცეთ თანხმობა, შრომითი

ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვრონ არა უმეტეს 167 ერთეულით.

2. განკარგულება ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**